

# ლადო პაპავა:

## “ნაციონალუბმა” უნივერისტეტების

## “არასამეწარმეო” სტატუსი თავისთვის მოირგეს

გაზეთი “რეზონანსი” – 15 ივლისი, № 186, 2013.

“... ფაქტია, რომ ნაციონალუბმა უნივერსიტეტებში არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსი თავისთვის მოირგეს. იმისათვის, რომ უნივერსიტეტებში დამყარდეს წესრიგი, საჭიროა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ჩამოყალიბდნენ. თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გავა დრო და ააიპის სტატუსს ისევ დაუბრუნებიან უნივერსიტეტები,”- აცხადებს “მთელ კვირასთან” საუბრისას იგანე ჯაგახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის ერთ-ერთი კანდიდატი, აკადემიკოსი ლადო პაპავა. მისივე თქმით, საამისოდ საკმაოდ დიდი დრო არის საჭირო, დაქნინებული უმაღლესი განათლება და გაქრობის პირას მისული მეცნიერება მწყობრში რომ ჩადგეს.

“მთელი კვირა”: თავდაპირველად თქვენი აზრი გვაინტერესებს იმის შესახებ, თუ როგორი მდგომარეობაა დღეს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში?

**ლადო პაპავა:** უმაღლეს განათლებაში დღეს არსებული მდგომარეობის ერთმნიშვნელოვანი შეფასება შეუძლებელია. რა თქმა უნდა, არის გარკვეული პოზიციი, მაგრამ არის ნეგატივიც. რომელია მეტი, მოდით, ვთქვათ და მკიოხველმაც განსაჯოს. ის, რომ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სისტემა ქვეყანაში საჭიროებდა რეფორმას, ეს აშკარა იყო. მე მასესენდება 2004 წლის მაისის ბოლო, როდესაც საქართველოს პარლამენტში ახალი დეპუტატები ვიყავით არჩეული და ნდობის საკითხი უნდა გამოცხადებოდა ზურაბ ჟვანიას მთავრობას. მე გახდით მაშინ ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის წევრი. მაშინვე ორი კახას – კახა ლომაიასა და კახა ბენდუქიძის მიმართ ერთნაირი

პოზიცია დავიჭირე და ვთქვი, რომ ერთი დაგვინგრევს განათლებისა და მეცნიერების სისტემას, მეორე კი ეკონომიკას.

**“შ.კ”: მაშინვე რატომ განეწყოთ უარყოფითად? იცოდით, რის გაკეთებას აპირებდნენ?**

**ლ.პ:** ნერუგა რეფორმას არ ნიშნავს. ამჯერად თავი გავანებოთ ბენდუქიძეს; ის ხედვა, რომელიც წამოაყენა კახა ლომაიამ, პრაქტიკულად იყო ფრაგმენტული და გათვლილი გახდლდათ მექანიკურ ცვლილებებზე. მექანიკური ცვლილებები კი შედეგის მომტანი არასდროს არ არის.

პოზიციი კი, რაც მართლა გაკეთდა უმაღლესი განათლების სისტემაში და ვფიქრობ, რომ ამაში ყველა ერთმნიშვნელოვნად დამეთანხმება, არის მისაღები გამოცდების სისტემა. რა თქმა უნდა, იდეალური სისტემის შექმნა შეუძლებელია. აშკარად იკვეთება, რომ არის გარკვეული ხარვეზები, მაგრამ ეს ის ხარვეზები არ არის, რომ პრინციპულად საზოგადოებაში მოქალაქეებმა ეჭვი შეიტანონ ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემაში. ამან მიიღო საკმაოდ სერიოზული ნდობა. ახალგაზრდები გათავისუფლდნენ გრკვეული კოპლექსებისგან, რომ უმაღლესში ჩარიცხვა მხოლოდ ჩაწყობით შეიძლება; ეს არის ის პოზიციი, რომელიც არა მარტო უნდა შევინარჩუნოთ, არამედ უნდა განვავითაროთ.

ახლა რაც შეეხება სხვა ასპექტს. უნივერსიტეტებში განხორციელდებული ზეწოლა პოლიტიკური ნიშნით! – სამწუხაროდ ეს ყველა უმაღლეს სასწავლებელს ეხებოდა, რაც მიზნად ისახავდა განსხვავებულად მოაზროვნე ხალხისგან უნივერსიტეტების სტერილიზაციას. ნაციონალურ მოძრაობას ყოველთვის აშინებდა ადამიანი, რომელიც არის განსხვავებულად მოაზროვნე. მეცნიერი კი თავისი ბუნებით ყოველთვის განსხვავებლად მოაზროვნეა. მეცნიერება იწყება იქ, სადც იწყება ეჭვი. სადაც რწმენაა, იქ მეციერება არ არის. მეცნიერი ბუნებით არის ეჭვიანი კაცი; ეს არის კაცი, რომელსაც ყოველთვის აქვს კითხვები. ასეთი ხალხი ნაციონალებს არ აწყობდათ. ამიტომაც იქიდან გამომდინარე, რომ მათი იდელოგია იყო, გამოეყვანათ ახალი მართული ადამიანი, ამ ახალ მართულ ადამიანში კი ასეთი თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები ვერ ჯდებოდნენ. დაიწყო შეტევა უნივერისტეტზე, მეცნიერებათა აკადემიაზე...

**“გ.კ”:** მაშინ ნაციონალების ერთ-ერთი მოტივი ის იყო, რომ უნივერსიტეტის პროფესურის ძირითადი ნაწილი უკვე ხანდაზმულია და რეალურად არაფრის გამკეთებელია. ამიტომაც უწოდეს “ჩარეცხილები” და ა.შ.

**ლ.პ:** ხანდაზმულობასთან დაკავშირებით ერთ რამეს გეტყვით: საერთოდ, შესწავლილია, რომ ყველაზე მეტად დაცულები სკლეროზისგან არიან მეცნიერები. მეცნიერული ცხოვრება – ეს არის ტვინის მუდმივი ვარჯიში. ამიტომაც მეცნიერი ასაკის გამო შესაძლებელია ფიზიკურად იყოს შეზღუდული, მაგრამ გონებრივად – თითქმის არასდროს, თუ რადაც დაავადება არ გაუწნდათ. ამიტომაც მეცნიერებს ასაკობრივი პრობლემა ყველაზე ნაკლებად ეხებათ. უფრო მეტიც – რაც უფრო გამოცდილია ადამიანი მეცნიერებაში და რაც უფრო მეტი კვლევა ჩაუტარებია, უფრო მეტად ფასობს. აქედან გამომდინარე ნაციონალების ამგვარი მიდგომა აბსოლუტურად მცდარი იყო. მათი მიდგომა რეალურად იყო ასეთი – პროფესურა, რომელიც მეტ-ნაკლებად ხმამადლა აფიქსირებდა თავის პროცესს, თავის უკაყოფილებას, არ მოსწონდათ. თვითონ ეს პროფესურა თავიდან არ გამოდიოდა პოლიტიკური რეჟიმის წინააღდევები. ისინი მოითხოვდნენ კანონის შესრულებას; მოითხოვდნენ, რომ უნივერსიტეტებში სიტუაცია ყოფილიყო გაუმჯობესებისკენ მიმართული და არა გაუარესებისკენ. აქედან გამომდინარე, ყველა ასეთი პროფესორი სხვადასვა მექანიზმით აიძულებს და უნივერსიტეტს ჩამოაცილებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან ბევრი კოლეგა მყავს ისეთი, რომლებიც უნივერსიტეტებში დღესაც მუშაობენ, ასწავლიან და კარგადაც ასწავლიან, მაგრამ მოქალაქეობრივი თვალსაზრისით პასიურები არიან. ჩემთან მოსულან და მეგობრულად დამლაპარაკებიან. ისინი მეტ-ნაკლებად აღშფოთებულია არსებული სიტუაციით, მაგრამ ამას ხმამდლა ვერ იძახდნენ სამსახურის დაკარგვის შიშის გამო. ყველას ვერ მოვთხოვთ აშკარად გამოკვეთილი მოქალაქეობრივი პოზიციის დაფიქსირებას. ეს არ არის ადვილი. მეცნიერთა შორის ამ თავლსაზირისით გამორჩეული იყო აწ განსვენებული შოთა ნადირაშვილ, ცნობილი ფსიქოლოგი, აკადემიკოსი. ეს კაცი იყო ნიმუში. ავადმყოფი, მოხუცი კაცი უშიშრად აფიქსირებდა თავის პოზიციას. ყველას ვერ მოთხოვ ამას. ფაქტია, რომ ძალიან ბევრი ღირსეული პროფესორი დარჩა უნივერსიტეტს გარეთ, თუმცა არაერთი მაღალკვალიფიციური პროფესორი არის სასწავლო პროცესში ჩართული. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა

მეცნიერებაში. ჯერ დიდი დარტყმა მიაყენეს უნივერსიტეტებს, შემდგა კი გადაურქს მეცნიერებათა აკადემიას.

**“გ.კ.”: მეცნიერებათა აკადემიას ჩამოაშორეს სამეცნიერო ინსტიტუტები...**

**ლ.პ:** დიახ. აკადემიას დაარქვეს, რომ ეს არის საბჭოური გადმონაშთი იმის მიუხედავად, რომ აკადემიამ ოფიციალურად გააკეთა განცხადება, რომ ეს არის გელათისა და იყალთოს აკადემიის მემკვიდრე, რომ აკადემიის ტრადიცია საქართველოში არ დაწყებულა ბოლშევიკებისგან. გარდა იმისა, რომ აკადემია გამოაცხადეს ბოლშევიკურ-სტალინ-ბერიას მოდელად, რაც აბსოლუტურად არასწორია, დაიწყეს აკადემიის წინააღმდეგ ბრძოლა. წაართვეს ინსტიტუტები, რომლებიც ჯერ შეიყვანეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, შემდგა გადაანაწილეს სხვადასხვა უნივერსიტეტებში – ზოგი ტექნიკურ უნივერსიტეტში, ზოგი სამედიცინო უნივერსიტეტში, ზოგი ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში და ზოგიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

**“გ.კ.”: თვითონ უმაღლესი სახწავლებლების გაერთიანება-ოპტიმიზაცია რამდენად მართებულად მიგახნიათ? თუნდაც სულხან-ხაბა თრბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი და ილიას სახელობის უცხო ენათა უნივერსიტეტი რომ გაერთიანდნენ.**

**ლ.პ:** ეს მექანიკურად მოხდა. თავისთავად გაერთიანების იდეა ახალი არ იყო; ეს ადრეც, ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის დროს განიხილებოდა. ყველაზე ნიშანდობლივი კი ის იყო, სპორტის აკადემიას რაც გაუქმეთეს. საბოლოო ჯამში გამოიკვეთა, რომ თურმე ეს ყველაფერი – სამეცნიერო-პლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან მიერთება და უნივერსიტეტების გაერთიანება – მიმართული იყო ფართებზე – შენობების სარფიანად გაყიდვაზე, რადგან თითქმის ყველა ეს შენობა დედაქალაქშია. ამიტომაც პრაქტიკულად ჩვენ მივიღეთ ასეთი სისტემა – მეცნიერება ძალიან სერიოზული დარტყმის ქვეშ. თუმცა ის რომ ვთქვათ, რომ მეცნიერება საეთოდ გაქრა, არ იქნება გამართლებული. გაქრობის პირას არის. არ გამქრალა იმიტომ, რომ იყო მეცნიერი, ეს არ არის მარტო პროფესია; ეს არის ცხოვრების სტილი, ადამიანის შინაგანი მოთხოვნილება. ადამიანს თუ აქვს შინაგანი მოთხოვნილება იმაზე, რომ გამოიკვლიოს ის, რაც ჯერ არ შეუსწავალიათ, ამას ვერ აუკრძალავ.

მიუხედავად სერიოზული დარტყმებისა, ზოგიერთმა ინსტიტუტმა სახე მაინც შეინარჩუნა. განსაკუთრებით გამოვლიფდი მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის

და ეპონომიკის ინსტიტუტებს. და ეს არის ამ ინსტიტუტების კოლექტივების დამსახურება. მათემატიკის ინსტიტუტი მაღლივი კორპუსის 2-3 ოთახში შემაწყვდიეს. ამ ოთახებიდან დიდი ნაწილი კი დაკავებული პქონდა ინსიტუტის ბიბლიოთეკიდან ყუთებში ჩაწყობილ წიგნებს. მაგრამ ინსტიტუტმა სახე შეინარჩუნა და ეს თავად მათემატიკოსების დამსახურებაა. მეცნიერი მეცნიერია ყოველთვის. მეცნიერთა მიმართ უდიერმა დამოკიდებულამ ის გააკეთა, რომ ახალგაზრდების თვალში მეცნიერება არაპრესტიული გახდა და დაკნინდა. დღეს ხმამაღლა რომ თქვა მეცნიერი ხარ, იფიქრებენ – მთლად კარგად ვერ არისო. ამას ემატება ასეთი დამოკიდებულება – თუ ნიჭიერი ხარ, წადი, ბიზნესს მოკიდე ხელი და ფულს იშოვი. მეცნიერის შორმა დაფასებული არ არის, არც საზოგადოებრივი მხარდაჭერის თვალსაზრისით, და არც მატერიალურად. დღეს შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერება არის ძალიან სავალალო მდგომარეობაში. ერთ მომენტსაც უნდა გაესვას ხაზი: ინსიტუტისგვერდებს, რომლებიც შეუერთეს ილიას უნივერსიტეტს, მათ არ გაუმართლათ. ამ ინსიტიტუტებზე განხორციელდა უშუალო რეპრესიები და შეეწირნენ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ახირებას. პრაქტიკულად მხოლოდ სახელიდა დარჩა ისეთი ინსტიტუტების, როგორიც არის ფილოსოფიის და ფიქტოლოგიის. მეცნიერთა ძირითადი ბირთვი იქიდან გაგდებულია. ილიას უნივერსიტეტისგან განსხვავებით ჯავახიშივილის სახელობის უნივერსიტეტთან მიერთებულ ინსტიტუტები აშკარად უკეთეს მდგომარეობაში არ არიან – იქიდან კადრები არ გაუყრიათ. ძირიტადი პრობლემა მათ ის აქვთ, რომ ბოლომდე ჩამოყალიბებული სტატუსი არ გააჩნდათ. ამ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას არ გაუმეორებია ის ბოროტება, რაც ილიას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ინსტიტუტებს გაუქმდა.

**“მ.კ”:** თუმცა ბატონი თევზადე აღნიშნავდა, რომ “ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში უფრო კეთდება დღეს ბევრი რამ, ვიდრე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში” (01.09.10), რომ ილიას უნივერსიტეტში მეცნიერული მუშაობა ნორმალური ტემპით მიმდინარეობდა, იყო და არის კვლევები, როგორც ფილოსოფიაში, ასევე ფიქტოლოგიაში...

**ლ.პ:** მოგეხსენებათ, მე ვარ მეცნიერებათა აკადემიის წევრი. უნივერსიტეტები გვიგზავნიდნენ ფილოსოფიის და ფიქტოლოგიის “გადახალისებული” ინსტიტუტების სამეცნიერო მუშაობის გეგმებს

შესათანხმებდად. ეს გეგმები არანაირ კავშირში არ იყო უშუალოდ სამეცნიერო კვლევებთან. მაგალითად, იყო ცნობილი მეცნიერის წიგნის თარგმნა. თარგმნა კარგი საქმეა, მაგრამ მეცნიერებასთან რა საერთო აქვს?! ან კიდევ – კონფერენციის ჩატარება. ესეც კარგი საქმეა, მაგრამ ეს არ არის მეცნიერულ კვლევა?! კონფერენციის ჩატარება, სტუმრებისთვის დახვედრა და მოხსენებების მოსმენა – ეს არის მეცნიერული კვლევა?

### **“მ.კ.”: და ეს როდის იყო?**

**ლ.პ:** 2013-ის დასაწყისში მოვისმინეთ ასეთი სამუშაო გეგმების შესახებ, რომლებიც წარმოადგინა ილიას უნივერისტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტებმა. ეს ინსიტიტუტები პრაქტიკულად ქადალდზე დარჩა ინსიტიტუტებად. არც ერთ მათგანში არ იყო კვლევის ელემენტები. რექტორს შეუძლია, რაც გაეხარდება, ის თქვას. არ მინდა ჩრდილი მივაყენო ილიას უნივერსიტეტში მოღვაწე ყველა მკვლევარს. საუბარია კონკრეტულად იმაზე, რომ არც ფილოსოფიის და არც ფსიქოლოგიის ინსიტუტების სამუშაო გეგმებში კვლევითი თემებზე მუშაობა არ ეწერა.

**“მ.კ.” მოგეხსნებათ, მიდის საუბარი იმაზე, რომ ეს ინსიტიტუტები დაუბრუნდნენ მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში. როგორ ფიქრობთ, ეს კარგი იქნება?**

**ლ.პ:** სამეცნიერო ინსტიტუტების ბედი უნდა გადაწყვიტონ არა ჭკვიანმა ბიძიებმა და დეიდებმა მთავრობასა თუ პარლამენტში, არამედ ეს უნდა გადაწყვიტონ თვითონ მეცნიერებმა – ასეთია ჩემი მიდგომა. მიმაჩნია, რომ მეცნიერებაში დემოკრატიულობის პრინციპი მაღალი უნდა იყოს. მათი ბედის გადაწყვეტა ზევიდან კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ უნდა მიეცეს არჩევანის გაკეთების საშუალება.

**“მ.კ.”: როგორც მე მაქვს ინფორმაცია, ინსიტიტუტებს აქვთ სურვილი, დაუბრუნდნენ მეცნიერებათა აკადემიას.**

**ლ.პ:** რა თქმა უნდა. უფრო მეტსაც გეტუვით – მე მქონდა რამდენიმე დღის წინ საუბარი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძესთან. მან ჩამომითვალა სამი ინსტიტუტი, რომელთა დირექტორებიც მასთან მივიდნენ ამ სურვილით.

**“მ.კ.”: საქმაოდ დიდი ხმაური მოჰყვა უნივერსიტეტების ააიას სტატუსის სსიპებად გადაკეთებას. ოპონენტების ძირითადი არგუმენტი იყო**

**აგრონომიურობა, რომელიც მათი მოსაზრებით სხვის შემთხვევაში შესაძებელია უმაღლესმა სასწავლებელმა დაკარგოს.**

**ლ.პ:** უნივერსტეტებისთვის და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებისთვის ყველაზე კარგი სტატუსი არის არამომგებიანი არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსი. მაგრამ ის, რაც მათთან მიმართებაში განხორციელდა საქართველოში, ამას სჭირდება გამოსწორება. ეს გადაწყვეტილება, რომელიც მიღო მთავრობამ და პარლამენტმა, რომ უნივერსტეტებს უნდა დაუბრუნდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე გამართლებულია. ის რაც გაკეთდა ილიას სახელმწიფო უნივერსტეტში, სადაც რექტორმა და სხვა ხელმძღვანელმა პირმა შექმნა კიდევ ასეთივე ორგანიზაცია და მერე გილაურს ხელი მოაწერინეს იმ სამთავრობო გადაწყვეტილებაზე, რომლითაც თურმე უნივერსტეტი არის 50%-იან წილში და მათი არასამთავრობო ორგანიზაცია - 50%-ან წილში, ეს არის ფარული პრივატიზაცია. წესით, ეს უნდა გამოეყიდინათ სამართალდამცავ სტრუქტურებს და პირველ რიგში უნდა დაკითხულიყო გილაური – რის საფუძველზე გადაეცა კერძო პირებს უნივერსიტეტის 50%. მაგრამ ეს რატომდააც არ გაკეთებულა.

იმისათვის, რომ უნივერსიტეტებში დამყარდეს წესრიგი, საჭიროა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ჩამოყალიბდნენ. თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გავა დრო და ააიპის სტატუსს ისევ დაუბრუნებიან უნივერსტეტები. ეს მოხდება მაშინ, როცა უნივერსიტეტებში ჩამოყალიბდება მოწესრიგებული სისტემა, უნივერსიტეტები იქნება მართლაც ცოდნის ტაძარი და ყოველგვარი პოლიტიკური მაქინაციებისაგან იქნება თავისუფალი, სადაც დემოკრატიული წესებით ჩატარდება არჩევნები. მანამდე კი საჭიროა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, რადგან ნაციონალებმა ფაქტია, რომ უნივერსიტეტებში არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსი თავისთვის მოირგეს. თსუ-ს რექტორსაც მიესვლებოდა გილაურთან იმავე თხოვნით, მაგრამ, დვთის მადლით, მას ეს არ გაუკეთებია.

**“გ.პ”:** უნივერსიტეტებისთვის სტატუსის შეცვლაზე მიმდევლი იყო აგრონომიურობასთან დაკავშირებით აელიორება – რომ სხივების შემთხვევაში უნივერსიტეტები აგრონომიურობას დაკარგავენ. თქვენ როგორ ფიქრობთ?

**ლ.პ:** ავტონომიურობის თვალსაზირისთ დიდი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რა სტატუსს მივცემო უნივერსიტეტებს. საჯარო სამართლის იურიდიული პირის

სტატუსიც იძლევა ავტონომიურობის სავსებით ნორმალურ გარანტიებს. თუკი ხელისუფლების პოლიტიკური ნება იქნება, მაშინ უნივერსიტეტებს ავტონომია ექნებათ. მთავარი არის პოლიტიკური ნება. თუ ნება არ არის, რა ნიშვნელობა აქვს სსიპი იქნება, თუ ააიპი?! გილაურმა თევზადესა და რატიანს უნივერსიტეტის 50%-იანი წილი რომ აჩუქა, ეს რა ავტონომიურობაა?! ეს არის ელიტური კორუფცია. ამიტომაც ავტონომიურობა მარტო სტატუსითა და კანონით არ განისაზღვრება. ეს დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზეც.

**“მ.პ”:** უნივერსიტეტების სსიპებად გადაკეთება უკვე ძალაში შევიდა, მაგრამ სამინისტრო არ ჩეკრობს მათ გადაყვანას ახალ სტატუსზე, უფრო სწორად ადრინდელ სტატუსზე დაბრუნებას. პროფესორთა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ სამინისტრო ამას შეგნებულად აჭიანურებს.

**ლ.პ:** ეს მოლად ასე მარტივადაც არ არის; ეს მარტო სამინისტროდან არ უნდა მოდიოდეს, ეს უნივერსიტეტებზეც არის დამოკიდებული. ანუ უნივერსიტეტებმაც უნდა მიიღონ ამ პროცესში მონაწილეობა. ჩემი მიღგომა არის ასეთი – სამართლებრივი სტატუსის შეცვლამ ხელი არ უნდა შეუშალოს სასწავლო პროცესს. ეს უნდა გაკეთდეს იმდენად უმტკიცნელულოდ, რომ სასწავლო პროცესი არ ჩაიშალოს და სამეცნიერო კვლევები არ შეფერხდეს.

**“მ.პ”:** რა მოხდება სსიპებად გადაკეთების შემდეგ – გამოცხადდება გარდამავლი პერიოდი, დაინიშებიან დროებითი მმართველები, შემედგრავარდება არჩევნები...

**ლ.პ:** არსად არ წერია, რომ უნდა დაიწყოს გარდამავალი პერიოდი.

**მ.პ:** თუმცა პროფესურის გარკვეული ნაწილი ამას ასე აყალიბებს და ელოდება კიდევ.

**ლ.პ:** დაახლოებით ორი კვირის წინ იყო დამოუკიდებულ ექსპერტთა კლუბში შეხვედრა ბატონ გიორგი მარგვეაშვილთან და მან თქვა, რომ დღევანდელი სტატუსის შეცვლა არ ნიშნავს იმას, რომ მოჰყვეს რექტორის გადაყენება. ყველა რექტორი დაამთავრებს თავის ვადას. სტატუსის შეცვლა უნივერსიტეტებში არაფერს შინაგანად არ ცვლის. უნდა შეიცვალოს თუ არა უნივერსიტეტებს შორის შიგა სტრუქტურა, მე ვფიქრობ, რომ, თუ ავტონომიურობაზეა საუბარი, თვითონ უნივერსიტეტებმა გადაწყვიტონ. ეს არც სამინისტროს საქმეა და არც მთავრობის.

**“მ.კ”:** საკმაოდ დიდი აუთოტაუი იყო იმაზეც, რომ რექტორები გარდამავალ პერიოდში პრემიერმა უნდა დანიშნოს. თუმცა ამაზე თავად პრემიერმა უპავ გააკეთა განცხადება, რომ ის არ დანიშნავს. რატომ არიან მომხრე ის ადამიანები იმისა, რომ დროებითი მმართველი პრემიერმა დანიშნოს?

**ლ.პ:** მე მესმის საიდან გაჩნდა და რატომაც გაჩნდა ეს იდეა. ყოველ შემთხვევაში ჩემს გემოვნებაში ეს არ ზის. არაურთხელ მითქვამს, რომ მაქვს პრეტენზია, ვიყო უნივერსიტეტის რექტორი, მაგრამ დანიშნული ნამდვილად არ მინდა ვიყო.

**მ.კ:** თუკი არ შეიცვალა უნივერსიტეტებში დღეს არსებული აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რაც ძირითადად, როგორც ამბობენ, ნაციონალებით არის დაკომპლექტებული, აქვს თუ არა აზრი რექტორის არჩევნების ჩატარებას თუნდაც ნდობის თავლაზაზრისით?

**ლ.პ:** აკადემიური საბჭოს რამდენიმე წევრს ვიცნობ და ვიცნობ საკამოდ დიდი ხანია. ვიცი, რომ არიან მალიან კარგი მეცნიერები, პატიოსანი ადამაინები. ადრე რაც მათ ჰქონდათ პრობლემა – პოლიტიკური წეები, მისგან უკვე გათავისუფლდნენ. მათგან ერთ-ერთმა მომიყვა ასეთი ამბავი – ერთ-ერთი არჩევნების დროს სოდის თუ კუდის თანამშრომლებმა იძულებით მიიყვანეს არჩევნებზე. ასეთი რამე, მსგავსი სიმახინჯები, დარწმუნებული ვარ, ახლა, ახალი ხელისუფლების პირობებში არ მოხდება. ვერ წარმომიდგენია, რომ ბ-ნმა ირაკლი ლარიბაშვილმა თავის თანამშრომლებს ასეთი დავალება მისცეს!

**“მ.კ”:** თქვენ, როგორ რექტორობის კანდიდატი, რის გაკეთებას აპირებთ უნივერსიტეტში?

**ლ.პ:** ჩემ გეგმაში ნამდვილად არ არის რეპრესიული ზომების გატარება, თუმცა ზოგიერთი “კეთილმოსურნე” ამ ჭორებს მივრცელებს. ჩემ ინტერესში არანაირად არ იქნება პროფესორის ან სტუდენტის პოლიტიკური გემოვნების განსაზღვრა – ვისი მხარდამჭერია, რომელი პარტიის წევრია. ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნება, რამდენად შეესაბამება პროფესორი დაკავებულ თანამდებობას, სტუდენტი კი – რამდენად არის ჩართული სასწავლო პროცესში, პვლევით საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, რომ დავახარისხო ყველა “დედალ-მამლებლად”, ასეთი რამე არ იქნება.

უნივერსიტეტში ყველა თანამდებობას დაიკავებს სამართლიანი არჩევნების გზით. ეს არჩევნები კი ჩატარდება დემოკრატიულად, მაქსიმალურად

გამჭვირვალედ, უნდა გვყვავდეს დირსეული პროფესურა. ეს შეიძლება იყოს უნივერისტეტში დღეს მოქმედი პროფესორი, ან გარედან დაბრუნებული. ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა კონკურსში მიიღოს მონაწილეობა. მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა თანამედროვე საქართველოში არის ის, რომ დოქტორანტურა არის ფასიანი. დოქტორანტი დღეს გვყვავს ძალიან ცოტა. მაქსიმალურად უნდა ვითნამშრომლოთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რომ დოქტორანტურა გახდეს უფასო. როგორ შეიძლება დოქტორანტმა ფული გადაიხადოს იმისათვის, რომ დოქტორანტი იყოს?! თუ მთავრობისგან ეს დროულად ვერ მოხდა, თვითონ უნივერსიტეტმა შიგა ფინანსებით უნდა მახერხოს ამის თუნდაც ნაწილობრივი დაფინანსება. ახალგაზრდობას ისედაც არ უნდა მეცნიერება და ჩვენ ფასიანი უნდა გვქონდეს დოქტორანტურა?!

### **მარი ოთარაშვილი**